ოქმი:**ო12.37210981**

თარიღი:**08/04/2021**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2021 წელი, 5 აპრილი

ქ.ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა: ლ.საჯაია მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ზოიძე, ლ.სიჭინავა, ალ.ღლონტი, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, თ.ტუღუში, ლ.ნინიძე, მ.ჩხიკვიშვილი, ლ.ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2020 წელში განხორცელებული შესყიდვების შესახებ.

მომხსენებელი: ლ.საჯაია

თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი

მომხსენებელმა ლ. საჯაიამ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ხოლო თანამომხსენებელმა გ.მამაკაიშვილმა ვრცლად მიმოიხილა ბიუჯეტის შესრულების ძირითადი პარამეტრები, აღნიშნა, რომ პანდემიის მიუხედავად ძირითადი პარამეტრები შესრულებულია როგორც შემოსავლების ასევე ხარჯების ნაწილში, შემდეგ უპასუხა დასმულ შეკითხვებს. სხდომის თავმჯდომარემ ლ. საჯაიამ დააყენა საკითხი სოციალური დახმარების გაცემის წესში ცვლილებებთან ერთად ცვლილებები შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტშიც. კომისიის წევრებმა

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ანგარიში შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი